



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს

სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

# საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

## მუხლი 1. უნივერსიტეტის მისია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდეგში-სეუ) მისია არის თანამედროვე სტანდარტების საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტისათვის პიროვნული შესაძლებლობის მაქსიმალურად რეალიზებას, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის შეთავაზებას, წარმატების ხელშეწყობაზე ორიენტირებული აკადემიური სივრცის ჩამოყალიბებასა და ეროვნული ღირებულებებით სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასა და ეროვნულ კულტურულ ცნობიერების დამკვიდრებაში საგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოებრივი ამოცანის რეალიზებას.

სეუ თავისი მისიის განხორციელების მიზნით თანამედროვე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების შესატყვისად უზრუნველყოფს:

- აკადემიურ თავისუფლებას
- არჩევანის თავისუფლებას და შესაძლებლობებს
- კრიტიკული აზროვნების გამომუშავებას;
- საკუთარი ქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერებას;
- წარმატების წახალისებას;
- სტუდენტის პიროვნული შესაძლებლობების გამოვლენის და განვითარების ხელშეწყობას

საგანმანათლებლო მომსახურება სეუ-ში ხორციელდება:

- თანამედროვე გამოწვევების შესატყვისი ცოდნის შეთავაზებით.
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებისათვის სწავლის ხელსაყრელი პირობების შექმნით;
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისებით;
- საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით;
- კურსდამთავრებულთათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანი როლის შესრულების პერსპექტივის უზრუნველყოფით;

უნივერსიტეტი თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, მედიცინის, სამართლისა და განათლების აკადემიური მიმართულებებით

## მუხლი 2. ზოგადი დებულებები

2.1. სეუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი არის სეუ-ს რექტორის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სეუ-ში სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული წესები.

2.2. სეუ-ს სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და სეუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სეუ-ში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.3. წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

2.4. სეუ ახორციელებს უმაღლესი განათლების პირველი ორი საფეხურის - ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლებისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

## თავი I

სტუდენტის ჩარიცხვის, სტუტუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესები

**მუხლი 3. ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და სტუდენტის სტატუსის მინიჭება.**

3.1. საბაკალავრო და ერთსაფეხურიან პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში;

3.2. აბიტურიენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია სეუ-ში მიმდინარეობს რექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

3.3. ადმინისტრაციული რეგისტრაციისას აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი 3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის).

3.4. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულების შემდგომ გამოიცემა სეუ-ს რექტორის ბრძანება აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ.

3.5. ის პირი, რომელიც ვერ მოხვდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ რექტორის ბრძანებაში დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს სეუ-ს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ბრძანების გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე, ამ გზით პირის ჩარიცხვა სეუ-ში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

3.6. სეუ-ში საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე

სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

#### **მუხლი 4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და სტუდენტის სტატუსის მინიჭება**

4.1. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სეუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში (B2 დონე).

4.2. B2 დონის ინგლისურენოვანი კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით

ა.) BEC exam and CELS exam – Vantage

ბ.) Cambridge exam – FCE

გ.) Pritman ESOL International

დ.) TOEIC – 541

ე.) TOEFL – 500 (Paper - based) /173 (Computer - based) / 61 (Internet - based)

4.3. სეუ-ს მიერ განსაზღვრული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია მიმდინარეობს სეუ-ში, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. ადმინისტრაციული რეგისტრაცია მოიცავს მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ შემდეგი აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენას:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების (ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული) დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის)

ე) 2 ფოტოსურათი 3X4, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

4.4. მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცდის შედეგების სეუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 დღეში მაგისტრანტობის კანდიდატს უფლება აქვს მიმართოს სეუ-ს სამაგისტრო გამოცდების საპრეტენზიო საბჭოს საპრეტენზიო განაცხადით, რომელიც იხილავს პრეტენზიებს და საპრეტენზიო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 2 დღეში იღებს გადაწყვეტილებას პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე ან არ დაკმაყოფილებაზე.

4.5. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობის დასრულებიდან 2 დღეში სეუ გამოსცემს მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.6. სეუ-ში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

## **მუხლი 5. მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა**

5.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

5.2. მობილობის უფლება ასევე აქვს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი;

ბ) სტუდენტის სტატუს შეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში;

5.3. სტუდენტის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

5.4. მობილობის გამოცხადების შემდეგ, სეუ-ს რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის პარალელურად;

5.5. მობილობის მსურველს ევალება წარმოადგინოს სეუ-ში ყველა ის დოკუმენტის ასლი, რომელიც სავალდებულოა სტუდენტის ჩარიცხვისათვის.

5.6. სეუ ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

5.7. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.8. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

5.9. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით.

5.10. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ

არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

5.11. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

5.12. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

5.13. აღიარება ფორმდება მიმღები დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მოტივირებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

5.14. სეუ ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს ბრძანების პროექტს სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რომელსაც წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც გამოსცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.

5.15. ბრძანების პროექტზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა სეუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ, რომელიც გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდეგში-რეესტრი), ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

## **მუხლი 6. შიდა მობილობა**

6.1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა;

6.2. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების პირველი სემესტრიდან.

6.3. შიდა მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი სეუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიმართავს წერილობითი განცხადებით. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;

6.4. სეუ ადგენს შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას ამ წესით დადგენილი სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის შესაბამისად და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ, რომლის შემდგომაც გამოიცემა ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით გადაყვანის შესახებ;

6.5. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა პროგრამაზე ფორმდება რექტორის ბრძანებით. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ სეუ შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

## **მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი**

7.1. მობილობის/შიდა მობილობის/სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის/მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ადგენს შესაბამისი კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ;

7.2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

7.3. პროგრამის აღიარების დროს ხდება იმ სასწავლო კურსის/კურსების აღიარება რომლის სწავლის შედეგები შეესაბამება იმ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/კურსების სწავლის შედეგებს რომელზედაც სწავლას აგრძელებს/ანახლებს სტუდენტი.

7.4. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში ან კრედიტების მოცულობაში არსებული სხვაობის მიუხედავად;

7.5. თუ აღიარებული სასწავლო კურსისთვის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია განსხვავებული ECTS კრედიტი, აღიარება ხდება ახალი პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებისთვის დადგენილი კრედიტის მოცულობით.

7.6. ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებელია აღიარებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სასწავლო კურსების/ თავისუფალი კრედიტების კომპონენტში, არაუმეტეს ამ კომპონენტით გათვალისწინებული მოცულობისა.

7.7. ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები რომელიც ახალი პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად სპეციალობას განეკუთვნება, შესაძლებელია აღიარებული იქნეს ახალი პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტში, არაუმეტეს ამ კომპონენტით გათვალისწინებული მოცულობისა.

7.8. სტუდენტის მიერ გავლილი და აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

7.9. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა დაწესებულებას წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე:  $60 \times 3 / 25 = 7,2$ , დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

ბ.ა.) შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად;

ბ.ბ.) შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად;

ბ.გ.) შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩაეთავალა“-ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების

სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100–ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ.  $81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81$  (B).

7.10. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

7.11. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტის/დასკვნის ფორმით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ. ინფორმაცია აღიარებული კრედიტების შესახებ ეცნობება სტუდენტს და ძალაში შედის სტუდენტის ხელმოწერით აღიარებაზე დასტურის შემდეგ.

### **მუხლი 8. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება**

8.1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

8.2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

8.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ჩარიცხვაზე თანხმობის ბრძანების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში გამოიყენება სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

### **მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

9.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სეუ-სა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

9.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) აკადემიური შვებულება 9.2.3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელი (ფინანსური დავალიანება);

გ) ავადმყოფობა, ჯანმრთელობის გაუარესება, ორსულობა, მშობიარობა თუ ბავშვის მოვლა, სტუდენტის მოთხოვნით;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

9.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი



## **მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

10.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტუდენტის პირადი განცხადება;
- ბ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;
- დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა.
- ე) გარდაცვალება;

10.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით და იწვევს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას.

10.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი დგება შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. ამ ვადაში სტუდენტი უფლებამოსილია აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

11.1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გზით;

11.2. სეუ-ში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სემესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის (სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის მიხედვით) გზით.

11.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სეუ-ს მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

## თავი II სასწავლო პროცესი

### მუხლი 12. აკადემიური წელი

- 12.1 აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს
- 12.2. აკადემიური წელი შედგება შემოდგომის, გაზაფხულის და ზაფხულის სემესტრებისგან.
- 12.3. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
- 12.4. სასწავლო კვირა არის დროის 6 დღიანი პერიოდი, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კალენდარულ კვირაში.
- 12.5. სასწავლო კვირაში საკონტაქტო (საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობის) და დამოუკიდებელი (საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის) საათების ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 50 ასტრონომიულ საათს.
- 12.6. სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვა იანგარიშება ECTS კრედიტებში. 1 ECTS კრედიტი უდრის სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი მუშაობის) 25 ასტრონომიულ საათს
- 12.7. უნივერსიტეტის აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 (ECTS) კრედიტს, რომლებიც ნაწილდება გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებზე.
- 12.8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს
- 12.9. პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია პროგრამის აკადემიური დატვირთვის ნაწილის ათვისება ზაფხულის სემესტრის განმავლობაში.
- 12.10. გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, მათგან - 15 სასწავლო კვირა, 1 - შუალედური გამოცდების კვირა, 2 - დასკვნითი გამოცდების კვირა, 2 - დამატებითი გამოცდების კვირა.
- 12.11. ზაფხულის სემესტრი შედგება 10 კვირისგან, მათგან 7 სასწავლო კვირა, 1 შუალედური გამოცდების კვირა, 1 დასკვნითი გამოცდების კვირა, 1 - დამატებითი გამოცდების კვირა.
- 12.12. სემესტრში კვირები ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისად.
- 12.13 სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე მათი სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
- 12.14. თითოეული სემესტრის ვადები, სემესტრის დაწყებამდე განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 13. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია**

13.1. ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა, რომელიც გულისხმობს სეუ-ში ამ წესის გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენას.

13.2. სტუდენტები ჩარიცხვის შემდგომ ყოველი სემესტრის დასაწყისში განახორციელებენ ხელახალ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, რომელიც გულისხმობს რეგისტრაციის გავლის პერიოდში გადასახდელი სწავლის საფასურის გადახდას;

13.3. სტუდენტის მიერ დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა გამოიწვევს მისთვის შესაბამის სემესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერებას;

13.4. სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, განახორციელებენ აკადემიურ რეგისტრაციას, რომელიც გულისხმობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და აღნიშნულ სემესტრში შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან სასურველის არჩევას.

13.5. აკადემიური რეგისტრაციის გავლის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა;

### **მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა**

14.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით სტუდენტს შეუძლია გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას და აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსი/კურსები, სასწავლო კურსების არჩევითი ბლოკები (კონცენტრაციები) და დამატებითი (Minor) პროგრამა /თავისუფალი სასწავლო კურსები.

14.2. დამატებითი (Minor) პროგრამის არჩევას სტუდენტს შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებში შეთავაზებული დამატებითი (Minor) პროგრამებიდან, თუ მისი პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს დამატებითი (Minor) პროგრამის არჩევას.

14.3. სტუდენტი უფლებამოსილია დამატებითი (Minor) პროგრამის ნაცვლად გაიაროს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სასწავლო კურსები, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, უცხო ენების ბლოკის, ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სავალდებულო ან/და არჩევითი სასწავლო დისციპლინებიდან, შესაბამისი სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესწავლის/დაშვების წინაპირობების დაცვით.

14.4. არჩევით/თავისუფალ სასწავლო კურსებსა და დამატებით (Minor) პროგრამაზე სტუდენტთა რეგისტრაციას კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერები პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის შედეგად;

14.5. არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კურსებისა და დამატებითი (Minor) პროგრამების არჩევა ხდება სასწავლო უნივერსიტეტ სეუს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.

## **მუხლი 15. უცხოენოვან პროგრამებზე და პროგრამის უცხო ენის კომპონენტზე სტუდენტის დაშვება**

15.1. სეუ-ს უცხო ენოვან პროგრამაზე სტუდენტის დაშვებისთვის განისაზღვრება შემდეგი დამატებითი წინაპირობები:

- ა) ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დგინდება ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე შესაბამისი უცხო ენის ჩაბარების ვალდებულება და განისაზღვრება ამ გამოცდაში კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აისახება პროგრამაში
- ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირები, პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებულნი არიან წარმოადგინონ უცხოენოვანი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გაიარონ საუნივერსიტეტო გამოცდა, უცხო ენაში კომპეტენციის დონის განსაზღვრისათვის.

15.2. საერთაშორისო სერტიფიკატის შესაბამისობა პროგრამით მოთხოვნილ ენობრივი კომპეტენციის დონესთან განისაზღვრება შემდეგი სქემით:

- ა) A2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Key (KET), PTE General Level 1, PTE Academic 30-42;
- ბ) B1 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Preliminary (PET)ნ BEC Prelim, IELTS 4-4.5, TOEFL iBT 57-86, TOEIC 550, PTE General Level 2, PTE Academic 43-58, Trinity ISE I
- გ) B2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English First (FCE), BEC Vantage, IELTS 5-6.5, TOEFL iBT 87-109, Michigan ECCE, PTE General Level 3, PTE Academic 59-75, Trinity ISE II
- დ) C1 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა: Cambridge English Advanced (CAE) BEC Higher, IELTS 7-8, TOEFL iBT 110-120, TOEIC 880, PTE General Level 4, PTE Academic 76-84

15.3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის კომპონენტზე დაშვების წინაპირობა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში ჩაბარებული აქვს შესაბამისი ენა, განისაზღვრება ამ გამოცდის შედეგების მიხედვით, შემდეგი წესის დაცვით:

- ა.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 81% და მეტი შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის B2 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.
- ბ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 51% - 80% შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის B1 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.
- გ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 30% - 50% შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის A2 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.
- ბ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 30% - მდე შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის A1 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.

15.4. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს ჩაბარებული აქვს განსხვავებული უცხო ენა ან იგი არ ეთანხმება ამ წესის 15.3. მუხლით გათვალისწინებული განაწილების შედეგს, იგი უფლებამოსილია გაიაროს ტესტირება, ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად, ან არჩეული უცხო ენის შესწავლა დაიწყოს საბაზისო დონიდან.

15.5. აღნიშნული წესით დაცვით უცხო ენაში საკომუნიკაციო კომპეტენციის განსაზღვრის შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის კომპონენტი პროგრამით გათვალისწინებულ მაქსიმალური დონის კომპეტენციამდე. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულის დასაძლევად სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებულზე მეტი კრედიტი დაჭირდა,

აღნიშნული კრედიტების ათვისება ხდება თავისუფალი ან დამატებითი პროგრამისთვის გათვალისწინებული კრედიტების, ან დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარჯზე. იმ შემთხვევაში თუ მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებულზე ნაკლები კრედიტი დასჭირდა, დარჩენილი კრედიტები ანაზღაურდება პროფესიული უცხო ენის, სხვა უცხო ენის, ან სხვა (თავისუფალი) კრედიტების სახით.

15.6. სტუდენტს საშუალება აქვს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უცხო ენის მიუხედავად გააკეთოს არჩევანი მისთვის სასურველ უცხოურ ენაზე. უცხოური ენის ბლოკით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სტუდენტს საშუალება აქვს, დამატებით თავისუფალი კრედიტებიდან აიღოს უცხოური ენის საწყისი დონე, ან სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტის ზევით უფასო სასწავლო კურსებს ყველა უცხოურ ენაში.

## **მუხლი 16. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)**

სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

- ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- ბ) პრაქტიკას;
- გ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- დ) გამოცდების მომზადება – ჩაბარებას;
- ე) საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას და მის დაცვას;

## **მუხლი 17. კრედიტების განაწილება**

17.1. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო გარემოში გატარებულ საკონტაქტო, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. 1 კრედიტი 25 ასტრონომიული საათია;

17.2. კრედიტების წლიური ოდენობა განსაზღვრულია საშუალოდ 60 კრედიტით. მაქსიმალური მოცულობა, პროგრამით დაშვებულ და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინტენსიური სასწავლო დატვირთვის შემთხვევებში - 75 კრედიტით. სამაგისტრო საფეხურზე დასაშვებია სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმში, არაუმეტეს **25** ასტრონომიული საათის დატვირთვით სწავლა-სწავლება. არასრული დატვირთვის შემთხვევაში, კრედიტების წლიური ოდენობა შეადგენს საშუალოდ 30 კრედიტს

17.3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სასწავლო კრედიტები (240) უნდა შესრულდეს ბაკალავრიატში სწავლისათვის განსაზღვრული 8 სემესტრის განმავლობაში ან პროგრამით დასაშვებ შემთხვევაში, ინტენსიური სასწავლო დატვირთვით - 7 სემესტრის განმავლობაში.

17.4 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილი კრედიტები (360) უნდა შესრულდეს სწავლისათვის განსაზღვრული 12 სემესტრის განმავლობაში, ან პროგრამით დასაშვებ შემთხვევაში, ინტენსიური სასწავლო დატვირთვით - 10-12 სემესტრის განმავლობაში.

17.5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის დადგენილი კრედიტები (120) უნდა შესრულდეს მაგისტრატურაში სწავლისათვის განსაზღვრული 4 სემესტრის განმავლობაში, ან პროგრამით დასაშვებ შემთხვევაში, არასრული სასწავლო დატვირთვით - 6-8 სემესტრის განმავლობაში.

17.6. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გეგმიურ ვადაში გათვალისწინებული კრედიტების დაუგროვებლობის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს დამატებით სემესტრში/სემესტრებში კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ასათვისებლად შესაბამისი სასწავლო კურსისათვის დადგენილი წინაპირობების დაცვით.

### **მუხლი 18. სტუდენტის მიღწევების შეფასება**

18.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება უნივერსიტეტის შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით. დადებით შეფასებად ითვლება 51 და მეტი ქულის მოპოვება.

18.2. სასწავლო კურსის/ კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

18.3. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში, გარდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა, მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

18.4. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი:

ა) შუალედური შეფასება - 70 %;

ბ) დასკვნითი შეფასება - 30%.

18.5. კრედიტის მინიჭება, გარდა სამაგისტრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული კრედიტისა, ხდება შეფასების ორივე ფორმის (შუალედური და დასკვნითი შეფასება) გათვალისწინებით

18.6. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელი აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30%-ს

18.7. შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე გასვლა სავალდებულოა.

18.8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

18.9. სამაგისტრო ნაშრომი, ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

18.10. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდით მეთოდები და კრიტერიუმები.

18.11. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდით მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

## **მუხლი 19. სტუდენტის შეფასების სისტემა**

19.1. სტუდენტის ცოდნა საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება შემდეგი სქემით:

### **19.1.1. დადებითი შეფასებები:**

- ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

### **19.1.2. უარყოფითი შეფასებები**

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

19.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი დამატებით გამოცდაზე გადის, შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შეფასების შეჯამების საფუძველზე.

19.3. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შესაბამისი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღისა.

19.4. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოდგენილია თითოეული კურსის სილაბუსში, რომლებიც სტუდენტს ეცნობება სტუდენტ სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. თითოეული კომპონენტისთვის სილაბუსით განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები გამოხატული ქულებში საერთო შეფასებიდან.

## **მუხლი 20. სტუდენტის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი შეფასება**

20.1. სტუდენტის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი შეფასება (GPA) გამოიყენება უნივერსიტეტში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისათვის მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში.

20.2. სასწავლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტში აკადემიური მოსწრების შეფასება (GP) გამოითვლება შემდეგნაირად:

- ა) შეფასება A (91-100%) – GP 4
- ბ) შეფასება B (81-90) – GP 3
- გ) შეფასება C (71-80) – GP 2
- დ) შეფასება D (61-70) – GP 1
- ე) შეფასება E (51-60 – GP 0,5

20.3. სასწავლო პროგრამის აკადემიური მოსწრების მიმდინარე საშუალო შეწონილი შეფასება (მიმდინარე GPA) გამოითვლება კონკრეტულ სასწავლო დისციპლინებში მიღებული შეფასების (GP)

შესაბამისი კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე ნამრავლის ჯამის შეფარდებით სტუდენტის მიერ მიმდინარე სემესტრამდე გავლილ კრედიტების რაოდენობასთან.

20.4. სასწავლო პროგრამის აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი შეფასება (საბოლოო GPA) გამოითვლება კონკრეტულ სასწავლო დისციპლინებში მიღებული შეფასების (GP) შესაბამისი კურსისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე ნამრავლის ჯამის შეფარდებით სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილ კრედიტების რაოდენობასთან.

20.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გაითვალისწინოს GPA მაჩვენებელი სტუდენტების წახალისების და წარჩინებული სტუდენტების გამოკვეთის მიზნით.

## **მუხლი 21. გამოცდების ჩატარების წესები**

21.1. სეუ-ში გამოცდა მიმდინარეობს ზეპირი, წერიტი ან/და ელექტრონული სახით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;

21.2. ელექტრონული სახით გამოცდა მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში კომპიუტერის საშუალებით, სადაც მოცემულია შესაბამისი საგნის ტესტები, რომელსაც უნდა უპასუხოს სტუდენტმა.

21.3. ელექტრონული სახით გამოცდის მიმდინარეობისას თითო კომპიუტერთან უნდა იჯდეს მხოლოდ ერთი სტუდენტი.

21.4. წერიტი სახით გამოცდის ჩატარებისას თითო მაგიდასთან უნდა იჯდეს მხოლოდ ერთი სტუდენტი.

21.5. სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ.

21.6. საგამოცდო დრო აითვლება მას შემდეგ, რაც სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ.

21.7. თუ სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში აკადემიური აქტიურობით ვერ დააგროვა მინიმალური ზღვრული ქულა, მაშინ იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

21.8. გამოცდის მსვლელობისას ქცევის წესების დარღვევისათვის სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.

21.9. გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს დანიშნულ დროს;
- ბ) დაიცვას სიჩუმე და წესრიგი;
- გ) გამოცდაზე იმოქმედოს გამოცხადებული ინსტრუქტაჟის მიხედვით;
- დ) საგამოცდო დავალების შესრულების შემდეგ უხმაუროდ დატოვოს აუდიტორია;

21.10. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტს ეკრძალება:

- ა) აუდიტორიიდან გასვლა;
- ბ) მობილური ტელეფონის გამოყენება;
- გ) დამხმარე ჩანაწერის გამოყენება;
- დ) გადალაპარაკება;
- ე) ინფორმაციის გაცვლა;

21.11. ელექტრონული გამოცდის შედეგები სტუდენტს უფიქსირდება ტესტის დამთავრებისთანავე, ხოლო წერიტი გამოცდის შედეგები ეცნობება 2 სამუშაო დღის შემდეგ;

21.12. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, გამოცდებზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დამკვირვებლები.

21.13. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჭიროების შემთხვევაში, საჩივარს განიხილავს და



გადაწყვეტილებას იღებს დეკანატის წარდგინების საფუძველზე შექმნილი დარგობრივი კომისია.

## **მუხლი 22. აკადემიური ხარისხის მინიჭება**

22.1. სეუ-ს ცალკეული საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის/დიპლომირებული მედიკოსის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობით/სპეციალიზაციით.

22.2. რექტორის ბრძანებით ფაკულტეტებზე შექმნილი კოლეგიური ორგანო - საფაკულტეტო საკვალიფიკაციო კომისია სწავლობს კურსდამთავრებულთა პირად საქმეს და ამზადებს დასკვნას ოქმის სახით კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება სეუ-ს რექტორს.

22.3. რექტორი საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების და მისი დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის - დიპლომის გაცემის შესახებ.

22.4. აკადემიური ხარისხი დასტურდება სეუ-ს რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და სეუ-ს ბეჭდით დამოწმებული დიპლომით, სტანდარტული დანართითურთ.

## **მუხლი 23. დამატებითი სემესტრის აღება**

23.1. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლებამოსილია დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში.

23.2. დამატებითი სემესტრის/სემესტრების სწავლის საფასური განისაზღვრება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გამოთვლის წესის შესაბამისად.

## **მუხლი 24. საგანმანათლებლო პროგრამის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

24.1. პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სეუ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამის და მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის თავსებადობის დადგენას. საჭიროების შემთხვევაში, სეუ სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამას. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სტუდენტი.

24.2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სეუ ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და მიაწოდოს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის შესახებ ინფორმაცია.

24.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებით.

24.4. თუ სეუ-ში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, სეუ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული მობილობის პროცესში

სტუდენტისათვის მონაწილეობის მიღების ხელშეწყობით განახორციელებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა გადაყვანას (მობილობას).

## **მუხლი 25. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემუშავების წესი**

25.1. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამად მიიჩნევა სტუდენტის სპეციალური საჭიროების გათვალისწინებით, მისი საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისთვის პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზების ფორმის ან პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსის შეცვლა იმგვარად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის იგივე სწავლის შედეგებზე გაყვანის შესაძლებლობა, პროგრამაში სტანდარტულად წარმოდგენილი სასწავლო კურსის/ენის/სასწავლო დროის არჩევითობის გარდა.

25.2 ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება შეთავაზებული იქნეს

- ა) მოტორული, მხედველობითი ან აუდიალური შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის, რომლებსთვის შეუძლებელია პროგრამით დადგენილი ფორმით სალექციო/პრაქტიკული/საგამოცდო პროცესებში მონაწილეობა.
- ბ) ავადმყოფობის ან თავისუფლება აღკვეთილი სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩაერთონ პროგრამით გათვალისწინებულ საკონტაქტო აქტივობებში.
- გ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ყოფნის ან სხვა სოციალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ აკადემიური კალენდარით გათვალისწინებულ ვადებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობას.

25.3. სტუდენტი, ჩარიცხვის ან სწავლის პერიოდში უფლებამოსილია, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართოს უნივერსიტეტს ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების მოთხოვნით.

25.4. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტი ქმნის კომისიას პროგრამის განმახორციელებელი პროფესორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისია უფლებამოსილია ჩართოს მუშაობაში შესაბამისი ჯანდაცვის, სოციალური თუ სხვა სამსახურების წარმომადგენლები, რომელთა სპეციალური ცოდნა მნიშვნელოვანია სტუდენტის საჭიროებათა სრულად გათვალისწინებისთვის, ასევე შეისწავლოს და გამოითხოვოს გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.

25.6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამამ, კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, შეიძლება მოიცვას, მაგრამ არ ამოიწურებოდეს, საგანმანათლებლო პროცესის შემდეგი მოდიფიცირებებით:

- ა) მოტორული დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სასემინარო და საგამოცდო დავალებათა ზეპირ ფორმატში გადაყვანა, ლექტორის ასისტენტის მონაწილეობით
- ბ) მხედველობითი დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - ვიზუალური მასალის აუდირებაში დახმარებას, ლექტორის ასისტენტისა თუ ბიბლიოტეკის ტანამშრომლის მონაწილეობით, ასევე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდიფიცირება
- გ) აუდიალური დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სალექციო მასალის ვიზუალური ფორმატით გადაცემისა და სასემინარო-საგამოცდო მასალის აუდიალურ ფორმატში გადმოცემის უზრუნველყოფას, რიდერების, ლექტორის კონსპექტებისა და სხვა თვალსაჩინოების გამოყენებით.
- დ) სტუდენტებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ ჩაერთონ საკონტაქტო პროცესში - სალექციო მეცადინეობის ელექტრონული ვიდეოკავშირის ფორმით მიღების, ხოლო საგამოცდო პროცესის - დისტანციურად, შესაბამისი მეთვალყურეობით, ჩატარების უზრუნველყოფით.

ე) სტუდენტებს, რომლებიც ვერ ახერხებენ განახორციელონ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები აკადემიური კალენდარით გათვალისწინებულ ვადებში, დასაშვებია:

ე.ა) საგამოცდო და სასემინარო პროცესის უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაზე ადრე ჩაბარება

ე.ბ.) საგამოცდო და სასემინარო პროცესის უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაზე გვიან ჩაბარება - მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუძლეველი ძალის მიზეზით ვერ მოახერხეს ამ პროცესში ჩართვა აკადემიური კალენდარით დადგენილ პერიოდში.

25.7. კომისიის დასკვნაში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ უნდა განისაზღვროს მის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები/მოქმედებები. კომისიის დასკვნა წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

### თავი III

#### ფინანსური რეგულაციები, სწავლის საფასური და საუნივერსიტეტო შეღავათები

##### მუხლი 26. სწავლის საფასური

26.1. სასწავლო წლის გადასახადი, სწავლების ყველა საფეხურზე, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და აისახება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებულ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში.

26.2. სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ჩარიცხვის მომენტში რექტორის სამართლებრივი აქტით დადგენილი ოდენობით, რომელსაც იხდის უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის პერიოდში.

26.3. სასწავლო წლის გადასახადი იფარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

##### მუხლი 27. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება

27.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, თითოეულ პროგრამაზე სწავლის საფასური და სწავლის საფასურის შეღავათები დგინდება ამ დებულებით ან/და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

27.2. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პირობები, დაწესებულებისა და სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა.

##### მუხლი 28. საგანმანათლებლო მომსახურების საფასური და მისი გადახდის წესი

28.1. სწავლის საფასურის გადახდა ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და სტუდენტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში. სტუდენტთან შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სწავლის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი;

28.2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს, მაგრამ არა უგვიანეს სწავლის დაწყების თვის 5 რიცხვისა, სტუდენტის მიერ ხდება სწავლის წლიური საფასურის ნაწილის - 750 ლარის გადახდა. სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილების გადახდა ხდება პროპორციულად, თითოეული შემდეგი თვის 5 რიცხვამდე 250 ლარის ოდენობის ნაწილებად გადახდა, სწავლის საფასურის დადგენილი მოცულობის სრულად შევსებამდე.

28.3. სტუდენტი უფლებამოსილია უნივერსიტეტთან გაფორმოს შეთანხმება სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის თაობაზე. აღნიშნული შეთანხმება დაერთვის სტუდენტის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას. სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკზე შეთანხმება გამორიცხავს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას.

28.4. სახელმწიფო დაფინანსების (სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სასწავლო სოციალური გრანტი, ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება და ა. შ) მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდა ხდება სახელმწიფო დაფინანსების გათვალისწინებით სწავლის საფასურის დარჩენილი ოდენობით ამ მუხლით დადგენილი წესით.

28.5. სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი დაერთვის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

28.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სემესტრის დაწყებამდე ან დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სწავლის საფასურის უკან დაბრუნება. სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სწავლის საფასური იანგარიშება სტუდენტის მიერ ფაქტობრივად მიღებული საგანმანათლებლო მომსახურების პერიოდის შესაბამისად. ზედმეტად გადახდილი თანხა სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე/შეჩერებამდე ინახება სტუდენტის ინდივიდუალურ ბალანსზე.

## **მუხლი 29. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. კრედიტის საფასური**

29.1. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებად მიიჩნევა გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში დადგენილი 30 კრედიტის სემესტრული სასწავლო დატვირთვის ზემოთ სასწავლო კურსების, აგრეთვე ზაფხულის სემესტრში დამატებითი სასწავლო კურსების შეთავაზება.

29.2. ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს ერთი აკადემიური წლისათვის.

29.3. სასწავლო კურსის კრედიტის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით: მიმდინარე წლიური გადასახადი იყოფა წლიური კრედიტების რაოდენობაზე - 60-ზე, რის შედეგად მიიღება 1 კრედიტის საფასური

29.4. სეუ-ში არჩეული საგნის განმეორებით გავლისათვის (უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში) კრედიტის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი საფასურის 50%-ით.

## **მუხლი 30. SEU გრანტი**

30.1. SEU გრანტი – არის უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის წამახალისებელი ფინანსური შეღავათი, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტით გათვალისწინებული დაფინანსების შორის სხვაობის დასაფარად/შესამცირებლად.

30.2. SEU გრანტის ოდენობა შეადგენს 740 ლარს, უნივერსიტეტში სწავლის თითოეული წლისათვის.

30.3. SEU გრანტის მიღების უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ნებისმიერი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელ აბიტურიენტებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს, რომლებიც შესაბამის წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, პირველი, მეორე ან მესამე არჩევანით ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში.

30.4. SEU გრანტით სარგებლობის პერიოდში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სხვა სახის ფინანსური შეღავათით.

30.5. SEU გრანტის მიღების უფლებით არ სარგებლობენ:

- ა) სტუდენტები რომლებმაც ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება, გარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროს და ვერცხლის მედალოსნებისა,
- ბ) სტუდენტები, რომლებმაც მოიპოვეს სხვა სახის სახელმწიფო დაფინანსება (სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსება და სხვა)

30.6. SEU გრანტის მფლობელი სტუდენტი გრანტის მიღების უფლებას დაკარგავს:

- ა) წინა სემესტრის სასწავლო დისციპლინებში არადაამაკმაყოფილებელი (51 ქულაზე ნაკლები-Fx/F) შეფასების მიღების შემთხვევაში.
- ბ) შუალედური ან დამატებითი გამოცდის გაცდენის/გადაბარების შემთხვევაში
- გ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში
- დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში
- ე) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში
- ვ) სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შეთანხმების შემთხვევაში

### მუხლი 31. SEU-ს თანადაფინანსება

31.1 SEU თანადაფინანსება არის სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე დამოკიდებული წამახალისებელი ფინანსური შეღავათი, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტის პროგრამაზე სწავლის საფასურის თანადაფინანსებისთვის, და რომლის ოდენობაც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ყოველი სტუდენტის წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების უმდაბლესი მაჩვენებლით.

31.2. SEU-ს თანადაფინანსების ოდენობის დადგენის წესი სტუდენტის წინა სემესტრის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე:

შეფასება	მინიმალური ქულა წინა სემესტრში	თანადაფინანსების ოდენობა
A	91-100 ქულა	1000 ლარი
B	81-90 ქულა	520 ლარი
C	71-80 ქულა	470 ლარი
D	61-70 ქულა	420 ლარი
E	57-60 ქულა	370 ლარი
E	51-56 ქულა	0
Fx	41-50 ქულა	0
F	0-40 ქულა	0

31.3. SEU-ს თანადაფინანსების მიღების უფლება სტუდენტს აქვს შესაბამის პროგრამაზე სწავლის გეგმური პერიოდის (4 სასწავლო წლის) განმავლობაში, წინა აკადემიური სემესტრში საკუთარი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

31.4. SEU-ს თანადაფინანსების მიღების უფლებით სტუდენტი ვერ ისარგებლებს:

- ა) შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გაცდენის/გადაბარების შემთხვევაში
- ბ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში

- გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში
- დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში
- ე) თანადაფინანსების ნაცვლად SEU სტიპენდიის მიღების უფლების არჩევის შემთხვევაში
- ვ) სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკზე შეთანხმების შემთხვევაში

**მუხლი 32. SEU სტიპენდია**

32.1. SEU სტიპენდია – არის სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე დამოკიდებული, სტუდენტზე გაცემული ფინანსური წახალისება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება სტუდენტის წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით.

32.2. SEU სტიპენდიის დადგენის წესი სტუდენტის წინა სემესტრის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე

შეფასება	მინიმალური ქულა სემესტრში	სტიპენდიის ოდენობა თვეში	სტიპენდიის ოდენობა სემესტრში
A	91-100 ქულა	100 - 400 ლარი	400 – 1600 ლარი
B	81-90 ქულა	85 ლარი	340 ლარი
C	71-80 ქულა	75 ლარი	300 ლარი
D	61-70 ქულა	60 ლარი	240 ლარი
E	57-60 ქულა	40 ლარი	160 ლარი
E	51-56 ქულა	0	0
Fx	41-50 ქულა	0	0
Fo	0-40 ქულა	0	0

32.3. SEU სტიპენდიის მიღების უფლება სტუდენტს აქვს შესაბამის პროგრამაზე სწავლის გეგმური პერიოდის განმავლობაში, უნივერსიტეტის წინა აკადემიური სემესტრში საკუთარი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

32.4. SEU სტიპენდიის მიღების უფლებით სტუდენტი ვერ ისარგებლებს:

- ა) შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გაცდენის/გადაბარების შემთხვევაში
- ბ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში
- გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში
- დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში
- ე) SEU თანადაფინანსების მიღების არჩევის შემთხვევაში.
- ვ) სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შეთანხმების შემთხვევაში.

32.5. SEU სტიპენდიით სარგებლობა არ აისახება სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობაზე

## თავი IV

### საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების წესი

#### მუხლი 33. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

33.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს სეუ-ს აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული სპეციალისტები, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შემუშავებაში ჩართული ერთეულების გადაწყვეტილებით შესაძლებელია პროგრამის შემუშავებაში სხვა სუბიექტების ჩართვა.

33.2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპებია

ა) პროგრამის პირველადი კონცეფციის / ხედვის შემუშავება

ბ) პროგრამის პირველადი კონცეფციის პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან განხილვა

გ) პროგრამის სამუშაო ვერსიის შედგენა

დ) პროგრამის სამუშაო ვერსიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან განხილვა

ე) პროგრამის სამუშაო ვერსიის რედაქციის დახვეწა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრატეგიის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების, დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების გათვალისწინებით.

ვ) პროგრამის საბოლოო რედაქციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილვა და შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტებით შეფასება.

ზ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამის საბოლოო პროექტის აკადემიურ საბჭოზე განხილვა მისი დამტკიცების მიზნით.

33.3. აღნიშნული წესი გამოიყენება ასევე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის არსებითი მოდიფიცირება-განვითარების მიმართ.

33.4. საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან მოდიფიცირებად მიიჩნევა:

ა) პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეცვლა (გარდა ტექნიკური და სტილისტური კორექტირებისა)

ბ) სავალდებულო სასწავლო კურსების რაოდენობის, ან მათი მიზნების და სწავლის შედეგების შეცვლა (გარდა ტექნიკური და სტილისტური კორექტირებისა)

გ) არჩევითი სასწავლო კურსების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტის ცვლილება (დამატება/გამოკლება/შეცვლა) ან მათი მიზნების ან/და სწავლის შედეგების შეცვლა (გარდა ტექნიკური და სტილისტური კორექტირებისა)

დ) პროგრამის სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეცვლა (დამატება/გამოკლება/შეცვლა) საერთო რაოდენობის არანაკლებ 10%-ით. (სპეციალობის სასწავლო კურსებთან მიმართებით)

33.5. აკადემიური საბჭოს მიერ განხილულ და მოწონებულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი;

### **მუხლი 34. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი**

34.1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის საგანმანათლებლო პროგრამის კონცეპტუალური ხედვისა და შესაბამისი პროფესიული ავტორიტეტის მქონე სპეციალისტი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის. შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს რამდენიმე თანახელმძღვანელი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროგრამის ცალკეული შემადგენელი ნაწილების/მოდულების კონცეპტუალურ ხედვაზე. პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების კანდიდატურა მტკიცდება პროგრამის დამტკიცებასთან ერთად,

34.2. პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებია:

- ა) ჩამოაყალიბოს პროგრამის სტრუქტურა, კონცეპტუალური ხედვა, უზრუნველყოს პროგრამის კონცეფციაში აკადემიური და შრომის ბაზრის აქტუალური საკითხების გათვალისწინება.
- ბ) მიიღოს მონაწილეობა პროგრამის შეფასებაში და განვითარებაში,
- გ) მიიღოს მონაწილეობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებაში, ახალი პერსონალის მოზიდვაში და შერჩევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის მიზნით.
- დ) გაუწიოს შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს რეკომენდაციები აკადემიური პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების გზით
- ე) მოახდინოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების შესრულების კოორდინირება, მოახდინოს პროფესიული პრაქტიკისა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა შერჩევა, კოორდინირება გაუწიოს პრაქტიკის/კვლევითი ნაშრომების დაცვის პროცესს.
- ვ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შორის მუშაობის კოორდინირება და ინფორმაციის გაცვლა, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

### **მუხლი 35. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი**

35.1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი/პროფილი;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულად და ინგლისურად;
- ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
- თ) სფეროს აღწერა/პროგრამის აქტუალურობა;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ლ) სწავლის შედეგები, გაწერილი კომპეტენციათა 6 აღმწერით;
- მ) დასაქმების სფერო;
- ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ო) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;



ჟ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

35.2 პროგრამას თან უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებელი ადამიანური რესურსების ჩამონათვალი;

35.3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება 6 დარგობრივი კომპეტენციით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული კომპეტენციები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) დასკვნის გაკეთების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები;

35.4. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

35.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება დაწესებულების აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

35.6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

35.7. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) კურსის განმახორციელებელი აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი;

გ) სასწავლო კურსის მიზნები;

დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

ე) დაშვების წინაპირობები შესაბამისი პროგრამისათვის;

ვ) სწავლის შედეგები 32.3 პუნქტით დადგენილი კომპეტენციების შესაბამისად;

ზ) სასწავლო კურსის შინაარსი;

თ) სწავლება-სწავლის მეთოდები;

ი) შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;

კ) ლიტერატურა.

35.8. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია შეცვლილი სილაბუსი წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

35.9. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ სასწავლო კომპონენტს ერთზე მეტი განმახორციელებელი ჰყავს:

ა) შესაძლებელია ყველა განმახორციელებლის მიერ მოხდეს სწავლის საერთო მეთოდოლოგიაზე შეთანხმება და ერთიანი სილაბუსის შემუშავება, რომელშიც აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის ყველა განმახორციელებელი

ბ) შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის თითოეული განმახორციელებლის მიერ დგება ცალ-ცალკე სილაბუსი, შესაბამისი სასწავლო კომპონენტისათვის,

რომლებიც წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

### **მუხლი 36. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

36.1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისათვის, გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა (სამართალი, მედიცინა) აგებულია ძირითადი სპეციალობის, დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტების კომბინაციით

36.2. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს:

ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კომუნიკაციის საფუძვლებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ფორმირებას.

ბ) საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა პროგრამებიდან შესავალი კურსების გაცნობას, სტუდენტის მიერ საკუთარი ინდივიდუალური აკადემიური პროფილის განსაზღვრაში დახმარების მიზნით.

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობისთვის აუცილებელი ძირითადი კომპეტენციების ფორმირებას. სასწავლო კომპონენტი შესაძლებელია მოიცავდეს პრაქტიკული (პროფესიული ან საწარმოო პრაქტიკა) და კვლევითი (საბაკალავრო ნაშრომი ან თეზისი) უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კურსებს.

დ) სპეციალობის არჩევით კომპონენტს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს მოახდინოს საკუთარი პროფესიული პროფილის ინდივიდუალიზაცია შესაბამისი მიმართულების რომელიმე ქვედარგის უფრო სიღრმისეულად ათვისებით. სპეციალობის (სავალდებულო და არჩევითი) კომპონენტების წილი შეადგენს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს. დასავებია სპეციალობის არჩევითი კომპონენტის ლოგიკურად აგებული მოდულებისა ან კონკრეტულ დარგში კონცენტრაციებად წარმოდგენა.

ე) დამატებით (Minor) საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული საკვალიფიკაციო აღმწერით დადგენილი დონით, უზრუნველყოს სტუდენტისთვის საბაზისო პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირებას ძირითადი სპეციალობიდან განსხვავებული მიმართულებით/დარგით

ვ) უცხო ენის შემსწავლელ კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტით პროგრამით დათქმულ უცხოენოვანი კომუნიკაციის კომპეტენციის დონეზე გაყვანას

ზ) თავისუფალი კრედიტების კომპონენტს, რომელიც უზრუნველფს სტუდენტის შესაძლებლობას, შეისწავლოს მისთვის საინტერესო სასწავლო კურსები ნებისმიერი მიმართულებიდან, გაიფართოვოს თვალსაწიერი და გაეცნოს სხვა პროფესიებში აკადემიური განათლების სპეციფიკას.

36.3. უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს:

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობისთვის აუცილებელი ძირითადი კომპეტენციების ფორმირებას. სავალდებულო კომპონენტში, გარდა სასწავლოსი აუცილებელია წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული (პროფესიული ან საწარმოო პრაქტიკა) და კვლევითი (სამაგისტრო თეზისი) უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ კურსებს.

დ) სპეციალობის არჩევით კომპონენტს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს შესაბამისი მიმართულების ქვედარგის სიღრმისეულად შესწავლისა. დასაშვებია სპეციალობის არჩევითი კომპონენტის ლოგიკურად აგებული მოდულებისა ან კონკრეტულ დარგში კონცენტრაცებად წარმოდგენა. არჩევით კომპონენტში დასაშვებია მიმართულებათშორისი სასწავლო კურსების შეთავაზებაც.

36.4. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისადმი და კომპონენტის განაწილებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებით.

### **მუხლი 37. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება**

37.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

37.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შიდა და გარე შეფასებას.

37.3. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შინაარსის შეფასება - პროგრამის განმახორციელებელი ან სპეციალისტების მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით

37.4. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმებია

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შინაარსის შეფასება - მოწვეული სპეციალისტების მიერ, (Peer Review)

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (აკრედიტაცია)

გ) საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (საერთაშორისო აკრედიტაცია)

37.5. პროგრამის ხარისხის მონიტორინგისთვის უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებას, თითო შეფასების მექანიზმით მაინც.

37.6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში შესაძლებელია ჩაერთონ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

37.7. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს.

37.8. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიგნებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნდა აისახოს შესაბამის ქმედით ღონისძიებებში, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.

37.9. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო კურსების შინაარსის დახვეწის, ახალი სასწავლო კურსების შემოღების, პროგრამის გამრავალფეროვნების ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობის გადახალისების მიზნით.

### **38. პროგრამის განვითარება**

38.1. პროგრამის გეგმიური განვითარების პროცესი მოიცავს

ა) პროგრამის განხორციელების ხარისხის შიდა შეფასებას

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას

- გ) პროგრამის მოთხოვნადობისა და აქტუალურობის შეფასებას
- დ) პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კორპუსის გაძლიერებას მოქმედი პერსონალის კარიერული განვითარების და პროფესურის კორპუსში ახალი პერსონალის მოწვევის გზით
- ე) პროგრამის მოწვეული სპეციალისტების რაოდენობის ზრდას
- ვ) პროგრამის არჩევითი კომპონენტების რაოდენობის ზრდას
- ზ) პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორების რაოდენობის ზრდას

38.2. პროგრამის გეგმიური განვითარება ტარდება, როგორც წესი 2 წელიწადში ერთხელ მაინც. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ან პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით შესაძლებელია პროგრამის განვითარების აქტივობების მეტი ინტენსივობით ჩატარება.

38.3. პროგრამის გეგმიური განვითარების პერიოდი არ ვრცელდება შემდეგ აქტივობებზე, რომელიც ტარდება ყოველსემესტრულად:

- ა) შეფასების კომპონენტების რევიზია, შესაბამისი კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად
- ბ) ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის რევიზია შესაბამისი კურსის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად
- გ) მისაღები აბიტურიენტთა/სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა
- დ) საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასებას

### 39. სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება

39.1. სტუდენტების მიღწევების მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტი აწარმოებს სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგის შეფასებას, მიღებული შედეგების საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრის მიზნებისთვის

39.2. სწავლის შედეგების შეფასების ხდება სტუდენტთა საერთო კონტინგენტის თუ კონკრეტული ჯგუფის პროგრესის მონიტორინგი შემდეგი პარამეტრებით:

- ა) აკადემიური მოსწრების პროგრესის მაჩვენებელი
- ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეიტინგო მაჩვენებელი აკადემიური მოსწრების სარეიტინგო მაჩვენებელთან შედარებით
- გ) სწავლის პერიოდში დასაქმებული სტუდენტების მაჩვენებელი
- დ) დადებითი/უარყოფითი შეფასებების თანაფარდობა
- ე) მობილობით გასული/შემოსული სტუდენტების მაჩვენებელი
- ვ) დაფინანსებული (სახელმწიფო/საუნივერსიტეტო დაფინანსებით) სტუდენტების მაჩვენებლის ცვლილება

**თავი V**  
**უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი**

**მუხლი 40. აკადემიური პერსონალი**

- 40.1. სეუ-ს აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისგან.
- 40.2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი.
- 40.3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში ან/და წარმართავენ მას, ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს.

**მუხლი 41. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის ვადა**

აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით.

**მუხლი 42. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები**

- 42.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
- 42.2. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნივერსიტეტში ხდება ღია კონკურსის წესით, კანდიდატთა თანასწორობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით
- 42.3. აკადემიური კონკურსის თარიღი და პირობები, მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით
- 42.4. კონკურსის პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის საინფორმაციო სივრცესა და ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის ( ბეჭდური ან ინტერნეტ მედია) საშუალებით, ამ წესით დადგენილ ვადებში

**მუხლი 43. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები**

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობითა და ამ წესით განსაზღვრული აკადემიური ან პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის

**მუხლი 44. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები**

**44.1. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხედვა და სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

**44.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება - ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების

გამოცდილება.

**44.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) დოქტორის აკადემიური ხარისხით ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით;
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

**44.4. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე:**

- ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან - შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

**მუხლი 45. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები:**

**45.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე**

- ა) საზღვარგარეთ (აშშ ან ევროპის ქვეყნებში) მიღებული დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- ბ) საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება
- გ) საქართველოში ან/და საზღვარგარეთ შესაბამის დარგში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- ე) შესაბამისი დარგის პროგრამის განხორციელების ხედვა.

**45.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე**

- ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს ერთ-ერთი შემდეგი ნიშნით:
  - ა.ა) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილებით შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
  - ა.ბ) სამეცნიერო-კვლევითი (არანაკლებ 5 პუბლიკაციისა შესაბამის დარგში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილებით;
  - ა.გ) საზღვარგარეთ (აშშ და ევროპის ქვეყნებში) პრაქტიკული ან სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

**45.3. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის**

- ა) დარგის ადექვატური პროფესიული გამოცდილება - არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება, რაც დაკავშირებულია შესაბამის დარგში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.
- გ) შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვა.

**მუხლი 46. უცხოენოვანი პროგრამების აკადემიური პერსონალის დამატებითი საკონკურსო კრიტერიუმები**

46.1. უცხოენოვანი პროგრამის ან პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსისთვის, დამატებით კრიტერიუმად წესდება კონკურსანტის მიერ ენობრივი კომპეტენციის დემონსტრირება პროგრამის შესაბამისი კომპონენტის განხორციელების ენაში, თუკი აღნიშნული ენა კონკურსანტის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს

46.2. უცხო ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩათვლება:

- ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში
- ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის / სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში
- გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.

46.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, B2 დონის ენობრივი კომუნიკაციის კომპეტენციის დამადასტურებლად მიიჩნევა:

- ა) Cambridge English First (FCE),
- ბ) BEC Vantage,
- გ) IELTS 5-6.5,
- დ) TOEFL iBT 87-109,
- ე) Michigan ECCE,
- ვ) PTE General Level 3,
- ზ) PTE Academic 59-75,
- თ) Trinity ISE II

46.4. აკადემიური კონკურსის მონაწილე, უფლებამოსილია თავისი უცხო ენაზე კომუნიკაციის კომპეტენცია დაადასტუროს კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გამოცდის საშუალებით.

#### **მუხლი 47. დამატებითი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისთვის:**

47.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საკონკურსო განცხადებაში დააწესოს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამატებითი კრიტერიუმები.

- ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;
- ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
- გ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- დ) უცხო ენების ცოდნა;

47.2. დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.

#### **მუხლი 48. საკონკურსო კომისია**

48.1. აკადემიური კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამის კანდიდატთა შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია სულ მცირე სამი წევრით (მათ შორის ერთი კომისიის თავმჯდომარე და ერთი მდივანი)

48.2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

- ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კანდიდატთა პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა.

#### **მუხლი 49. კონკურსის ეტაპები:**

აკადემიური კონკურსი ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა
- ბ) კონკურსანტების ენობრივი კომპეტენციის ტესტირება (უცხოენოვან პროგრამისათვის)

გ) საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება

### **მუხლი 50. საკონკურსო კომისიის მიერ საბუთების გადარჩევა**

50.1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა ტარდება კონკურსანტის დაუსწრებლად, კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ინტერვიუზე.

50.2. საბუთების გადარჩევის დროს მოწმდება:

ა) შეტანილია თუ არა განაცხადი საკონკურსო ვადის დაცვით

ბ) წარმოდგენილი არის თუ არა შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური თუ პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის ყველა დოკუმენტი

50.3. საბუთების გადარჩევის შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, კონკურსის მეორე ეტაპზე გასული კონკურსანტების შესახებ

### **მუხლი 51. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება**

51.1. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება ტარდება უცხოენოვან პროგრამის /პროგრამის კომპონენტის განსახორციელებლად კონკურსში მონაწილე იმ კონკურსანტებისთვის, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური თუ პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის ყველა დოკუმენტი, გარდა უცხო ენის ფლობის დოკუმენტისა

51.2. ენობრივი კომპეტენციის ტესტირება ხდება უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საგამოცდო ტესტის მეშვეობით. ტესტის საკითხები და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

### **მუხლი 52. გასაუბრება**

52.1. გასაუბრების დროს საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შესაბამის დარგში არსებული გამოწვევების ხედვას, ასევე კომუნიკაციის, თვითპრეზენტაციის, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარებს

52.2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრებამ შესაძლებელია მოიცვას იმიტირებული ლექციის ჩატარება, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს

### **მუხლი 53. საკონკურსო კომისიის ოქმი**

53.1. აკადემიური კონკურსის თითოეული ეტაპისთვის გაწეული სამუშაოს აღწერას და შეჯამებას საკონკურსო კომისია ახდენს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში

53.2. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში მიეთითება

ა) უნივერსიტეტის დასახელება

ბ) საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი

გ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

დ) საკონკურსო კომისიის დღის წესრიგი

ე) კონკურსის მოცემულ ეტაპში მონაწილე კონკურსანტები

ვ) კომისიის მიერ თითოეული კონკურსანტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, შეფასება შესაბამისი არგუმენტაციით

ზ) საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თითოეული კონკურსანტის მიმართ

53.3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.



#### **მუხლი 54. აკადემიური კონკურსის შედეგები**

54.1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

54.2. კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება რექტორს, რომელიც კომისიის მუშაობის შედეგების მიხედვით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას გამარჯვებული კანდიდატების მიმართ და გამოსცემს ბრძანებას აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატურების დანიშვნის თაობაზე და მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

#### **მუხლი 55. კონკურსის გასაჩივრება**

55.1. კონკურსის მონაწილე, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, უფლებამოსილია შეიტანოს აპელაცია და მოითხოვოს კონკურსის შედეგების მის სასარგებლოდ გადასინჯვა

55.2. სააპელაციო განაცხადი უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის საკონკურსო კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობას

55.3. კონკურსის საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე, საკონკურსო კომისია განიხილავს აპელაციას, და საკუთარ მოსაზრებებთან წარუდგენს მას აკადემიურ საბჭოს.

55.4. აპელაციის მხარდაჭერის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის კონკრეტული ეტაპის ხელახლა ჩატარების შესახებ. აპელაციის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ძალაში რჩება საკონკურსო კომისიის წარდგინება

55.5. კონკურსის შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.